

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N

— ოქტომბერი 2014 წელი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და მისი თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36¹ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსსა და ატესტირებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია. 36² მუხლის მე-3-ე პუნქტი ადგენს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო.“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“ მე-10-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის შესაბამისად, „დაწესებულების მოხელეთა კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ინიშნება იმავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.“

ამასთან, საკრებულო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის თანახმად, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. 36⁴ მუხლი კი ადგენს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე კომისიის მოწვეულ წევრთა შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. დღეისათვის მოქმედი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის თანახმად, კონკურსის ჩატარების პროცედურებს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ეს დადგენილება. საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N411 დადგენილების შესაბამისად კი, მოხელეთა ატესტირების პრინციპები, პროცედურები, ფორმები და პირობები განსაზღვრულია ამ დადგენილებით. ამდენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების ან კომისიის

საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა ქვენორმატიული აქტის მიღების არც აუცილებლობა და არც სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

გამომდინარე ყოველივე აღნიშულიდან, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეიქმნას დუშეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია;
2. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი.